



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

07.07.2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას

10.09.2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები /Life Sciences
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი/Doctor of Life Sciences 0511
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180 ¹
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფოშვილი – პროფესორი, ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ა(აიპ) - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა ალანია - ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, (სსიპ) - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ კანონმდებლობის შესაბამისად დოქტორანტურის დონეზე კრედიტებში იზომება მხოლოდ სასწავლო კომპონენტი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს, აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცემული აქვს რეკომენდაციები.

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დაწესებულების განმარტებით, უცხოელი სტუდენტები მიმართავენ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიურ პერსონალს თხოვნით, რომ გააგრძელონ სწავლა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით დოქტორანტურაში. იქიდან გამომდინარე, რომ არც ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში და არც საქართველოში არსებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ხორციელდება მსგავსი პროგრამა ინგლისურ ენაზე, მათი მიღება ვერ ხერხდება. შესაბამისად, საჭირო გახდა აღიშნული პროგრამის შედგენა ინგლისურ ენაზე და მისი განხორციელება.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა შეიქმნა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ინდივიდის თავისუფალ განვითარებას და ადამიანის ხედვის გაფართოებას არსებული ცოდნის გაღრმავებით და სოცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ინოვაციური მეთოდების დამკვიდრებით. კოჰორტების კვლევითი კონცენტრაცია მოიცავს: ნეირომეცნიერებებს (ამ პროგრამაში მოიცავს მხედველობის ფიზიოლოგიას, ცერებრალურ ცირკულაციასა და მეტაბოლიზმს, ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიას, თავის ტვინის დარღვევების უჯრედულ საფუძვლებს); მიკრობიოლოგიას (პროგრამაში აერთიანებს მალტიდრავ რეზისტენტულობას, ეპიდემიოლოგიას, ბაქტერიოფაგებს როგორც ანტიბიოტიკების ალტერნატივას, რძემჟავა ბაქტერია და ფერმენტაციას, მიკრობიომის სტრუქტურასა და ფუნქციას); გენეტიკასა და გენომიკას (მოიცავს გენების ფუნქციის გამოვლენას, გენომის რედაქტირების ტექნოლოგიებს, მოდელორგანიზმებში ადამიანის დაავადებების მოდელირებას).

პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. 30 ECTS კრედიტი გამოყოფილია სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტებისთვის; 30 კრედიტი ეძღვნება სწავლების მეთოდებს I და II. სწავლების მეთოდები II არის არჩევითი კურსი; 30 კრედიტი ეთმობა სემინარს I და II, სემინარი II არის არჩევითი კურსი; 45 კრედიტი ეძღვნება პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევებს I, II და III; 30 კრედიტი ეძღვნება I და II კოლოკვიუმებს; ხოლო დანარჩენი 30 კრედიტი გამოიყოფა სადოქტორო ნაშრომის დახვეწისა და დაცვისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების“ შესაბამისად მუხლი 46. პუნქტი გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

პროგრამაზე სწავლების ენა ინგლისურია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორის კვალიფიკაცია. უნივერსიტეტს გააჩნია ორმხრივი მემორანდუმები შესაბამის ინსტიტუტებთან. პროგრამა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (მემორანდუმები ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან, ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან, საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები, სააუდიტორიო სივრცე და კომპიუტერული რესურსი). პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის უცხოელი პერსონალი. პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 7 ივლისს (ცენტრის დირექტორის ბრძანება 15.06.2020, №470522). სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან და პროგრამასთან ბმაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სადოქტორო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან, მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ახალია და შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა პროგრამის სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, ამ მიზეზით ვერ განხორციელდებოდა პროგრამისათვის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ განხორციელება შედეგების დემონსტრირებისა და მათი განალიზების თვალსაზრისით. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გავსაუბრებოდით სხვა პროგრამის სტუდენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრა ფაკულტეტზე მოქმედი მედიცინისა და სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დამსაქმებლებს – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორს, ცაისის წრმომადგენელს, ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის წრმომადგენელს (Zoom-ის მეშვეობით განხორციელდა გასაუბრება პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფებთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ასევე განხილულ იქნა სადოქტორო პროგრამების აბსტრაქტები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წრმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე მოსაზრება პროგრამის ძირითადი მიგნებების შესახებ.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამა აკმაყოფილებს:

- პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტის მოთხოვნებს და გაცემულია 1 რეკომენდაცია პროგრამის განვითარებისთვის;
- მეორე სტანდარტის ექვსივე კომპონენტის მოთხოვნებს მეტწილად და გაცემულია 5 სავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია და 3 არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის;
- მე-3 სტანდარტის ორივე კომპონენტის მოთხოვნებს, გაცემულია 1 რეკომენდაცია;
- მე-4 სტანდარტის ოთხივე კომპონენტის მოთხოვნებს. გაცემულია 3 რეკომენდაცია და 4 არასავალდებულო ხასიათის რჩევა პროგრამის განვითარებისთვის;
- მე-5 სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
- ვინაიდან პროგრამაზე მიიღებია ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან.
- სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენტები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცავს „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სხვა დარგებიც, და პროგრამაში დაემატოს 2-3 შესაბამისი ძირითადი საგანი.
- საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია.
- უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. შესაბამისად კვლევითი კომპონენტის სავალდებულო გაწერა არაა მიზანშეზონილი კრედიტებში და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგრძლივობას.
- განახლდეს აკადემიური პერსონალის CV-ები, რადგან ზოგიერთი პერსონალის CV-ში არ ჩანს მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში.
- პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS ელექტრონულ ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ჩანდეს დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთაშორისო კავშირები და საერთო პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.
- სასურველია დისერტანტმა მოამზადოს 3 სტატია (2 IF ჟურნალში და 1 რეფერირებადში), აქედან 2 გამოქვეყნებული უნდა იყოს, მათ შორის 1 IF ჟურნალში, Thomson Scientific, Web of Science Scimago scientific ან Scopus-ის ბაზებიდან. შესაძლოა სტატიები იყოს გადაცემული ასევე IF ჟურნალში და წარმოდგენილი უნდა იყოს

ჟურნალში ბეჭედაში მიღების დოკუმენტი. სხვა შემთხვევაში თუ დარჩება 2 სტატიის მოთხოვნა 1 უნდა იყოს 1-ის ტოლი IF ჟურნალი (Thomson Scientific მიხედვით) და ეს სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული ან ბეჭედაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა იყოს.

- სასურველია დაცვისას კომისიაში მოწვეული იყოს უცხოელი სპეციალისტი, თუნდაც ონლაინ ჩართვით.
 - სასურველია მიტითებული იყოს შეფასების წესში, რომ დისერტაციის შეფასება მოხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
 - სასურველია ყურადღება მიექცეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ასაკს და კადრების შერჩევასა მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალგაზრდა სპეციალისტებზე, რაც შესაბამისად პროგრამას მეტ მდგრადობას შესძენს.
 - სასურველია პერსონალს განემარტოს/ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგი იმპაქტ ფაქტორის (Impact Factor) მნიშვნელობაზე, გამოქვეყნების წესებზე და მიეწოდოს მტაცებლური ჟურნალების შესახებ ინფორმაცია.
 - პროგრამაში ჩართული ინსტიტუციებსა და ნაწილობრივ უნივერსიტეტს (მიკროსკოპები, სისხლის ლაბორატორია და ა.შ.) პროგრამის განხორციელებისათვის ნაწილობრივ გააჩნია რესურსი, თუმცა სასურველი იყო გაკეთებულიყო ერთობლივი პროგრამა შესაბამის კვლევით ინსტიტუტებთან რესურსი,
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) - არ არის
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - არ არის

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მისიის თანახმად NVU-ის მიზანია სტუდენტების ხედვის გაფართოება განათლების, კვლევისა და ინოვაციების გზით. უნივერსიტეტი შთააგონებს ინდივიდებს ცოდნის გაღრმავების, უნარებისა და ღირებულებების გაზიარებისაკენ, საზოგადოების კეთილდღეობაში წვლილის შესატანად”. უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში ნათქვამია, რომ ”ის გთავაზობთ რეგიონალური და დასავლური საგანმანათლებლო სამეცნიერო გამოცდილების შერწყმას, რომ მჭიდრო კავშირში იყოს შრომის ბაზრის პრიორიტეტებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე”. პროგრამა ეხმადანება დაწესებულების პათოსს, რადგან ის შეიქმნა დარგში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე და მასში უნდა ჩაირიცხონ სტუდენტები მთელი მსოფლიოდან.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამის მიზნებია:

- პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება არსებული ცოდნის გაღრმავებისა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ახალი მეთოდების დანერგვის გზით ინტერდისციპლინური და ტრანსლაციური კვლევების განხორციელების წახალისება;
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ღია სამეცნიერო პლატფორმის ჩამოყალიბება ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორატორების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
- მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც გააგრძელებენ კარიერას აკადემიაში, ინდუსტრიაში და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტისას ნათლად გამოჩნდა უნივერსიტეტის სურვილი და მონდომება, რათა პროგრამა იყოს წარმატებული. პროგრამაში ჩართული პერსონალი, პროგრამაში ჩართული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ერთობლივად ჰარმონიული თანამშრომლობით გეგმავს ამ მიზნების მიღწევას, რაც ფაქტობრივად შესრულებადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
<input type="checkbox"/> უნივერსიტეტის მისია http://www.newvision.ge/ge/content/mission-strategy <input type="checkbox"/> უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა http://newvision.ge/sites/default/files/danarti_no2.pdf
ინტერვიუ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა პრინციპში უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. პროგრამა ორიენტირებულია მაღალინფორმაციული ნანობიოლოგიური და ელექტრონულ - მიკროსკოპული მიდგომების გამოყენებით, ახალი თაობის მკვლევარების მომზადებაზე. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და ინოვაციურ სადოქტორო კვლევითი პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს პროგრამაში ჩართული პერსონალი. პროგრამას აქვს ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები.</p> <p>ზოგადი შედეგები შემდეგია:</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> წარმოაჩინონ ცოდნა უახლესი მიღწევების შესახებ, რაც შემდგომში არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); <input type="checkbox"/> გაანალიზონ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები; <input type="checkbox"/> მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები პრობლემების გადასაჭრელად; <input type="checkbox"/> დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ, ასევე ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩინონ ინოვაციური კვლევა; <input checked="" type="checkbox"/> წარმოაჩინონ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების გააზრების უფრო მაღალი დონე, გაიფართოვონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დარგის განვითარებისთვის და ხელი შეუწყონ კაცობრიობის კეთილდღეობას. <p>დარგობრივი შედეგებია:</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია:</p>

□ წარმოაჩინოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგის ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ინტერდისციპლინარული და/ან მულტიდისციპლინარული ფორმით;

□ შეისწავლოს და შეაფასოს ბოლოდროინდელი მიღწევები სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ქვედარგებში, მაგ: ნეირომეცნიერებებში, მიკრობიოლოგიასა, ან გენეტიკასა და გენომიკაში, რაც საშუალებას იძლევა არსებული ცოდნის შემდგომი გაფართოებისა სადოქტორო დისერტაციის კონტექსტში და გამოიყენონ ინოვაციური მეთოდები რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე;

ხელახლა გააანალიზოს და ნაწილობრივ გადააფასოს სფეროში არსებული ცოდნა, თავისი კვლევის სფეროში ახალი ცოდნისა და მიდგომების შექმნის მიზნით;

□ დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური კვლევა (ზოგიერთ შემთხვევაში შეიმუშავოს კვლევის ახალი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები), რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

□ კრიტიკულად გააანალიზოს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები ინტელექტუალური მსჯელობის, შემოქმედებითი გამოძიებისა და აღმოჩენის გამოყენებით;

□ გამოიყენოს ძირითადი ცოდნა წარსული და ახლად განვითარებული კვლევების ინტერპრეტირებისა და შესაფასებლად; დამოუკიდებლად მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილებები პრობლემების გადასაჭრელად.

□ შექმნას და შეიმუშავოს ახალი იდეები ან პროცესები, სფეროში განვითარებული მოვლენების საფუძველზე;

პრაქტიკაში გამოიყენოს სამეცნიერო კვლევის სტანდარტები და იმოქმედოს მეცნიერთა პასუხისმგებლობის ნორმების დაცვით, რაც აუცილებელია ახალი ცოდნის მისაღწევად;

□ გამოიყენოს ეთიკური პრინციპები, რომლებიც ეხება ცხოველთა მოდელებს, ისევე როგორც ადამიანთა ნიმუშებს, რომლებიც გამოიყენება ბიოსამედიცინო კვლევაში;

□ დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები;

□ მიაღწიოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების გააზრების უფრო მაღალ დონეს, გაიღრმავოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დარგის განვითარებისთვის და წვლილი შეიტანოს კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეში;

განიხილოს ბიოლოგიისა და ბიოლოგიური აღმოჩენების ეთიკური იმპლიკაციები. დაწესებულების მიერ განხორციელებული სხვა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები თვლიან, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი არიან და ეს მათი პროგრამების ეფექტურობის, მათი პროგრამების ფარგლებში განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის დამსახურებაა. მათი უმეტესობა აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

დასაქმების ბაზარზე სადოქტორო პროგრამის ორიენტულობის გასაზრდელად მოხდება კურსდამთავრებულთა რეგულარული გამოკითხვა და ამ გამოკითხვებით, დადგინდება თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა, ასევე დადგინდება კურსდამთავრებულთა შეხედულებები/კმაყოფილება პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების და შეძენილი ცოდნის შესახებ, რაც ხდის მათ კონკურენტუნარიანს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.

სწავლის შედეგები მოცემულია ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს აღმწერებით, შესაბამისად ის მოითხოვს შესწორებას და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს განზოგადებულ სწავლის შედეგებთან.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები სადოქტორო პროგრამა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულებთან</p>
<p>რეკომენდაციები: პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 პროგრამაზე ჩასაბარებლად, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს დიპლომირებული მედიკოსის (MD), დიპლომირებული სტომატოლოგის, ვეტერინარის, ბიოლოგის, ქიმიის, ფიზიკის ან მათემატიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. იგი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე, უნდა მოამზადოს სამოტივაციო წერილი, წარადგინოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის (პოტენციური დისერტაციის ხელმძღვანელის) მიერ დაწერილი სარეკომენდაციო წერილი და მონაწილეობა მიიღოს სადოქტორო ინტერვიუში. ჩვენი აზრით დაშვების წინაპირობები არასაკმარისია სასურველი კადრის შესარჩევად, ვინაიდან რიგ შემთხვევებში კანდიდატს არ ექნება ის ცოდნა და კომპეტენციები, რაც საჭირო არის ამ პროგრამის დაძლევისათვის. ქიმიის, ფიზიკის ან მათემატიკის მაგისტრს უნდა ჰქონდეს ბიოლოგიის ფუნდამენტური საკითხების ცოდნა, შესაბამისად ან ბიოლოგიის ბაკალავრის ხარისხი, ან ბიოლოგიის მაინორ პროგრამის გავლა, ან გამოცდა სავალდებულო უნდა იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
 სადოქტორო პროგრამა
 უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
 სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა
 ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების
 ჯგუფთან, დოქტორანტურის სტუდენტებთან, სადოქტორო ნაშრომების
 ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:
 ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა შეიქმნა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ინდივიდის თავისუფალ განვითარებას და ადამიანის ხედვის გაფართოებას არსებული ცოდნის გაღრმავებით და სოცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ინოვაციური მეთოდების დამკვიდრებით. კოჰორტების კვლევითი კონცენტრაცია მოიცავს: ნეირომეცნიერებებს (ამ პროგრამაში მოიცავს მხედველობის ფიზიოლოგიას, ცერებრალურ ცირკულაციასა და მეტაბოლიზმს, ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიას, თავის ტვინის დარღვევების უჯრედულ საფუძვლებს); მიკრობიოლოგიას (პროგრამაში აერთიანებს მალტიდრაგ რეზისტენტულობას, ეპიდემიოლოგიას, ბაქტერიოფაგებს როგორც ანტიბიოტიკების ალტერნატივას, რემეძავა ბაქტერია და ფერმენტაციას, მიკრობიომის სტრუქტურასა და ფუნქციას); გენეტიკასა და გენომიკას (მოიცავს გენების ფუნქციის გამოვლენას, გენომის რედაქტირების ტექნოლოგიებს, მოდელ ორგანიზმებში ადამიანის დაავადებების მოდელირებას). პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. 30 ECTS კრედიტი გამოყოფილია სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტებისთვის; 30 კრედიტი ეძღვნება სწავლების მეთოდებს I და II. სწავლების მეთოდები II არის არჩევითი კურსი; 30 კრედიტი ეთმობა სემინარს I და II, სემინარი II არის არჩევითი კურსი; 45 კრედიტი ეძღვნება პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევებს I, II და III; 30 კრედიტი ეძღვნება I და II კოლოკვიუმებს; ხოლო დანარჩენი 30 კრედიტი გამოიყოფა სადოქტორო ნაშრომის დახვეწისა და დაცვისთვის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სურს დაეუფლოს პროგრამის მიმართულებების სპეციფიკურ ცოდნას, მას შესაძლებლობა ექნება გაიაროს სასწავლო კურსები მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამიდან (MD) და/ან სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამიდან.

აქვე გვსურს ავლნიშნოთ, რომ პროგრამის სტრუქტურა არის გადასახედი კრედიტების მინიჭების ნაწილში, კერძოდ: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. შესაბამისად კვლევითი კომპონენტის სავალდებულო გაწერა არაა მიზანშეზონილი კრედიტებში და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგრძლივობას.

პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტს მოეთხოვება ჰქონდეს ორი სტატია: ერთი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში (Impact-Factor journal) (იმპაქტის მინიმალური დონე 0.5); და ერთი – რეფერირებად ჟურნალში. ერთ-ერთი ასეთი სტატია უნდა გამოსცეს დოქტორანტმა, როგორც პირველმა ავტორმა. ნებადართულია, რომ ზემოხსენებული სტატიებიდან ერთ-ერთი მიღებული იყოს გამოსაცემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული სტანდარტული სტრუქტურა, რომელიც, დაწესებულების განმარტებით, მოქმედებს დოქტორანტურის საფეხურის სხვა პროგრამების ფარგლებში, ამ შემთხვევაში ვერ გამოდგება, ვინაიდან სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს სხვა მახასიათებლები და სპეციფიკა აქვთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<p>სადოქტორო პროგრამა ინტერვიუ ფაკულტეტის წარმომადგენლებთან სილაბუსები</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან.</p> <p>უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სასწავლო კურსში „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების“ სილაბუსის გარდა სხვა საგნების სილაბუსები ზოგადი ხასიათისაა. სილაბუსში მითითებული მასალა არის თანამედროვე, თუმცა ეს არ იძლევა სრულყოფილ სურათს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების წარმოდგენილ პროგრამაზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები სილაბუსები</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენდები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან</p>

<p>გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცვას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სხვა დარგებიც, და დაემატოს 2-3 შესაბამისი ძირითადი საგანი.</p> <p>საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შექმნაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა სიცოცხლის მეცნიერებებში ფოკუსირებულია სხვადასხვა სამეცნიერო დარგსა და/ან ქვესფეროებს შორის ინტერდისციპლინარულ ურთიერთქმედებებზე. სტუდენტებს მოამზადებენ რთული ბიოლოგიური პროცესების შესასწავლად, რომლებიც სათანადოდ იქნება გაგებული ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით.</p> <p>პროგრამა ემყარება სხვადასხვა სამეცნიერო სფეროდან/ქვესფეროდან აღებული მეთოდებისა და მიდგომების ერთობლიობას და უზრუნველყოფს შემდეგი უნარების განვითარებას: პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, კრეატიული, სამუშაო, ტრანსფერული უნარების განვითარებას კვლევით პროექტებში მონაწილეობით. პროგრამის წარმატების შესასრულებლად დაწესებულებას აქვს გაფორმებული ორმხრივი ან მულტი მემორანდუმები შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა იმ ხარვეზების ან ნაკლოვანებების დასაფარად რაც დაწესებულებას გააჩნია, ამათუიმ კვლევითი პროექტის განხორციელებისას.</p> <p>სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული პროცესია, რომლის ინიცირება ხდება დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის და მოთხოვნის შესრულებისთანავე. დოქტორანტი ხელმძღვანელთან ათანხმებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის გეგმას და ამის შემდეგ იწყებს ამ გეგმის განხორციელებას. დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში მინიმუმ ორი პუბლიკაციის გამოქვეყნება.</p> <p>პროგრამის მსვლელობის დროს სტუდენტების უმეტესობა სხვადასხვა ლაბორატორიაში იმუშავებენ და აითვისებენ სხვადასხვა პრაქტიკულ მეთოდებს, განავითარებენ კვლევით</p>

<p>უნარს. გარდა ამისა, რადგანაც სტუდენტებს მოეთხოვებათ გამოაქვეყნონ ორი ნაშრომი სამეცნიერო ჟურნალებში, ისინი აღიჭურვებიან შესაბამისი კვლევით, სამეცნიერო და წერიტი უნარ-ჩვევებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა; სილაბუსები ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დისერტანტმა მოამზადოს 3 სტატია (2 IF ჟურნალში და 1 რეფერირებადში), აქედან 2 გამოქვეყნებული უნდა იყოს, მათ შორის 1 IF ჟურნალში, Thomson Scientific, Web of Science Scimago scientific ან Scopus-ის ბაზებიდან. შესაძლოა სტატიები იყოს გადაცემული ასევე IF ჟურნალში და წარმოდგენილი უნდა იყოს ჟურნალში ბექვდაში მიღების დოკუმენტი. სხვა შემთხვევაში თუ დარჩება 2 სტატიის მოთხოვნა 1 უნდა იყოს 1-ის ტოლი IF ჟურნალი (Thomson Scientific მიხედვით) და ეს სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული ან ბექვდაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა იყოს.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არა რის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მომავალი მკვლევარების განვითარებას. პროგრამის ძირითადი სწავლების ფილოსოფია არის „სწავლა კეთებით“. გამოყენებული სწავლების მეთოდებია: ლექცია და დემონსტრირების მეთოდები (როდესაც ვუხსნით, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ონლაინ მონაცემთა ბაზაში), გუნდური და ინდივიდუალური სწავლების მეთოდი, ჯგუფური დისკუსიის მეთოდები, დამოუკიდებელი სწავლა, ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლის, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა; სილაბუსები</p>
<p>რეკომენდაციები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება ცალკეული სილაბუსების დონეზე.</p>

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სწავლებისა და კვლევის კომპონენტებში სტუდენტებს აფასებენ შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკების) მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია თითოეული სილაბუსის ბოლოს. რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციის შეფასებას, იგი ფასდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის მიერ, რომელთაგან თითოეულის შეფასება უნდა იყოს მაქსიმალური (60) ქულიდან 50% -ზე მეტი. როდესაც შემფასებელთა შეფასებები არსებითად განსხვავებულია (არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები ან ორი პოზიტიური შეფასების შემთხვევაში, შეფასებებს შორის განსხვავება 15 ქულაზე მეტია), ინიშნება მესამე შემფასებელი. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს დაუბრუნდება დისერტაცია შესწორების მიზნით, მას აქვს ერთწლიანი ვადა მის შესასწორებლად.</p> <p>სადოქტორო დისერტაციის დაცვა ფასდება ცალკე სადოქტორო დისერტაციის შეფასებისგან. შეფასება უნდა იყოს 40 ქულიდან 50% -ზე მეტი.</p> <p>სადოქტორო დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, როდესაც საბოლოო შეფასებაა:</p> <p>91-100 ქულა - შესანიშნავი (summa cum laude); 81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude); 71-80 ქულა - კარგი (cum laude); 61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (bene); ან 51-60 ქულა - საკმარისი (rite).</p> <p>როდესაც სადოქტორო დისერტაცია შეფასებულია როგორც "არასაკმარისი" (41-50 ქულა), დისერტაცია შეიძლება განმეორებით იქნას წარდგენილი ან/და დაცული მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. დოქტორანტის განცხადება განმეორებით დაცვასთან დაკავშირებით წარდგენილი უნდა იქნეს სადისერტაციო საბჭოში.</p> <p>შეფასების სისტემა სამართლიანი და გამჭვირვალეა, რადგან ის წინასწარ არის ცნობილი დოქტორანტებისთვის, ასევე, მათ აქვთ შესაძლებლობა გადააბარონ ფინალურები განსაზღვრულ ვადაში. თუმცა აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ დისერტაციის შეფასება შესაბამისი წესის გათვალისწინებით უნდა შესრულდეს ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>დებულება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ დანართებით: http://newvision.ge/sites/default/files/regulation.pdf</p> <p><input type="checkbox"/> NVU სადისერტაციო საბჭოს დებულება</p> <p><input type="checkbox"/> http://www.newvision.ge/sites/default/files/nvu_dissertation_board_regulation.pdf</p> <p><input type="checkbox"/> სადოქტორო პროგრამა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში</p> <p><input type="checkbox"/> სილაბუსები</p>

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაცვისას კომისიაში მოწვეული იყოს უცხოელი სპეციალისტი, თუნდაც ონლაინ ჩართვით. სასურველია მიტითებული იყოს შეფასების წესში, რომ დისერტაციის შეფასება მოხდეს ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის სათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ნვუ (NVU)-ის კარიერული განვითარების ოფისი სთავაზობს ფართო მომსახურებას როგორც სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, მათ შორის, დახმარებას კარიერის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, ქსელში ჩართვასა და დასაქმების შესაძლებლობებთან მიმართებაში. ყველა სტუდენტს შეეძლება სწავლის პირველივე წლის განმავლობაში შეხვდნენ კარიერული განვითარების პერსონალს და მიიღონ მხარდაჭერა სტაჟირებისა და ნახევარ განაკვეთზე ან სრულ განაკვეთზე მუდმივი პოზიციების პოვნაში და მიღებაში ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულს შეეძლება ინდივიდუალური რჩევების მისაღებად დანიშნონ შეხვედრები სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა კარიერული

შეფასებები და გამოძიება, პროფესიული მიზნების შეფასება, სამუშაოსა და სტაჟირების საძიებო სტრატეგიების შედგენა, დახმარების გაწევა მიზნობრივი, მიღწევებზე დაფუძნებული რეზიუმეების შედგენა, აგრეთვე ეფექტური საძიებო წერილების დაწერა, სამოტივაციო წერილები და შემდგომი კომუნიკაციები, და დახმარება სამუშაო ინტერვიუებისა და სახელფასო მოლაპარაკებების მომზადებაში. კურსდამთავრებულებს შემდგომი მხარდაჭერა აქვთ კურსდამთავრებულთა განვითარების პროგრამის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური და კარიერული განვითარების შესახებ კონსულტაციებს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქართული ენის კლუბი, მიზნად ისახავს ქართული ენის სწავლებას უცხოელი სტუდენტებისთვის. ქართული ისწავლება კვირაში ოთხი საათი გაკვეთილების შემდეგ მოქნილი გრაფიკით, სემესტრული შეზღუდვების გარეშე. კლუბი ასევე ეფექტური საშუალებაა მულტიკულტურული ფასეულობების გასავითარებლად.

NVU კონსულტაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს

მტკიცებულებები/ინდიკატორები
 კონსულტაციისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის ცენტრის დოკუმენტაცია
 კარიერული განვითარების ოფისის დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოტენციურ ხელმძღვანელებს გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და კომპეტენცია უხელმძღვანელონ დოქტორანტებს. იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი უშუალოდ მუშაობს დოქტორანტთან და პასუხისმგებელია რომ ამ უკანასკნელმა წარმატებით დაასრულოს სადოქტორო პრაგრამა და ჩამოყალიბდეს კარგ მკვლევარად, განისაზღვრა და გაიწერა მისი ფუნქციები და მოვალეობები. კერძოდ:

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი რეგულარულად ხვდება დოქტორანტს დისერტაციის წერის პროცესში, დროულად აძლევს მას უკუკავშირს დისერტაციის მომზადებულ ნაწილებთან მიმართებით, აძლევს მიმართულებას, აკონტროლებს დისერტაციის მომზადების პროგრესს.

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო

სტატიების იმპაქტ ფაქტორიან და/ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების, სამეცნიერო გრანტების მოპოვების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ და ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებას.

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი მხარს უჭერს დოქტორანტს კვლევის პროცესში, ამხნეებს მას და აძლევს მოტივაციას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ NVU გეგმავს დანერგოს თანახელმძღვანელობის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი მოითხოვს მულტიდისციპლინარული ან ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს სპეციფიკური ამ სადოქტორო პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
 პერსონალის CV-ები
 ინტერვიუები პოტენციურ ხელმძღვანელებთან
 ინტერვიუები სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები: ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს, კერძოდ პროგრამაში წარმოდგენილ ზოგიერთ CV-ავტორს ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ქონდა გამოქვეყნებული ნაშრომი იგი და რეფერირებად ჟურნალებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთანინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1.ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია 16 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი. მათგან აფილირებულია 12 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შესაბამის კომპეტენციას ფლობს შემდეგ სფეროებში: ნეირომეცნიერება, მიკრობიოლოგია, გენეტიკა და გენომი. ამ პროფესორების დიდ უმრავლესობას აქვს დოქტორანტების ხელმძღვანელობის, სადისერტაციო სტატიების რეცენზირებისა და გამოქვეყნების გამოცდილება, ასევე სამეცნიერო პროექტების განვითარებაში, რომლებიც დაფინანსებულია ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ორგანიზებისა და ჩატარების გამოცდილება და ა.შ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესორების დიდი ნაწილი საკმაოდ ხანდაზმულია, ამასთან ნიშანდობლივია, რომ პროგრამაში არ არიან ასისტენტ პროფესორები. ამასთან პროფესორების ნაწილი დატვირთული არიან სხვა უნივერსიტეტებშიც და შესაბამისად ეს აჩენს ეჭვს, რამდენად მდგრადია მათი ჩართულობა აღზნის პროგრამაში.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაცემები არ იძიება QMS ელექტრონულ ბაზაში შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჩანაწერებში.

იგეგმება 9 დოქტორანტის ჩარიცხვა, თითოეულ კოკორტაზე 3 სტუდენტი, და, ამრიგად, პროგრამაში ჩართული პროფესორების რაოდენობა საკმარისია სემინარების, კოლოკვიუმების ჩასატარებლად, სადისერტაციო საბჭოების ორგანიზებისთვის, სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის, სტუდენტებისთვის კონსულტაციების გასაწევად აკადემიურ საკითხებში და ა.შ.

სადოქტორო პროგრამას ყავს ოთხი ხელმძღვანელი. თითოეული მათგანი სრულად იყო ჩართული პროგრამის მომზადების პროცესში და არის კვალიფიციური პროგრამის ძირითად მიმართულებებში როგორებიცაა მაგ: ნეირომეცნიერებები, მიკრობიოლოგია, გენეტიკა და გენომიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის CV-ები

გამოქვეყნებული ნაშრომები

გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

განახლდეს აკადემიური პერსონალის CV-ები

პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განახლოს პუბლიკაციები.

პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იქნებოდეს QMS ელექტრონულ

ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ყურადღება მიექცეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ასაკს და კადრების შერჩევისას მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალგაზრდა სპეციალისტებზე, რაც შესაბამისად პროგრამას მეტ მდგრადობას შესძენს. სასურველია უკეთ წარმოჩინდეს დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესორის საერთაშორისო კავშირები და საერთო პრობლემატიკაზე თანამშრომლობა. სასურველია პერსონალს განემარტოს/ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგი იმპაქტ ფაქტორის მნიშვნელობაზე, გამოქვეყნების წესებზე და მიეწოდოს „მტაცებლური“ ჟურნალების შესახებ ინფორმაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარების ინდივიდუალური მოდელი, რომელიც იყენებს პერსონალური განვითარების გეგმას (PDP), რათა განისაზღვროს და განავითაროს ის უნარები, რომლებიც თითოეულ თანამშრომელს სჭირდება თვითრეალიზაციისთვის. PDP საშუალებას აძლევს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაანალიზონ საკუთარი უნარები და განახორციელონ გარკვეული ცვლილებები პროფესიული განვითარების დაგეგმვაში. ადამიანური რესურსების კომიტეტი აფასებს ნახევარწლიურ პროგრესს, საჭიროებისამებრ შეაქვს გეგმაში ცვლილებები, პერსონალს სთავაზობს ინდივიდუალურ დახმარებას მათთან ინტერვიუს საფუძველზე, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. პიროვნული განვითარების დაგეგმვა ინდივიდუალური უკუკავშირის ანალიზის ჩათვლით, უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის ნაწილია.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები პერსონალური განვითარების მოდელი ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტში ძალიან კომფორტული გარემოა განათლების მისაღებად, მათ შორის ოთახები სტუდენტების ჯგუფური სამუშაოსთვის, თანამშრომლობისა და დასვენების ადგილები. აუდიტორიებს აქვთ სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორცაა EbscoHost, HeinOnline, ELSEVIER სისტემის ბაზები: Science Direct, SciVal finder, Scopus, Mendeley–ს მონაცემები.

პროგრამა მხარდაჭერილი იქნება ვიზუალიზაციის საშუალებებით, რომელსაც ZEIS ცენტრი უზრუნველყოფს, მათ შორის, მანათობელი და ფოკუსირებადი ფლუორესცენტული და ლუმინესცენტური მიკროსკოპი. NVU ასევე ფლობს სისხლის ბანკისათვის საჭირო ინვენტარს. სხვა სახის კვლევითი საშუალებები და აღჭურვილობა ხელმისაწვდომია შემდეგ კვლევით ინსტიტუტებთან მემორანდუმების საშუალებით: ი.ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი და ტიროლური კიბოს კვლევითი ინსტიტუტი. ასევე მზადდება სხვა მემორანდუმები. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, უნივერსიტეტს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის უნდა ჰქონდეს სათანადო ბაზა, ხოლო ასეთი ბაზის არარსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გაფორმებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, შესაბამისად ჩვენ ვთვლით, რომ იმ მემორანდუმებისა და კავშირების პირობებში, რაც პროგრამის ხელმძღვანელებსა და დაწესებულებას გააჩნია, ამის შესრულების შესაძლებლობა არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მემორანდუმები

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის – ბიბლიოთეკის დათვალიერება. ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომელთან.

ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამაში ჩართული ინსტიტუციებსა და ნაწილობრივ უნივერსიტეტს (მიკროსკოპები, სისხლის ლაბორატორია და ა.შ.) პროგრამის განხორციელებისათვის ნაწილობრივ გააჩნია რესურსი, თუმცა სასურველი იყო გაკეთებულიყო ერთობლივი პროგრამა შესაბამის კვლევით ინსტიტუტებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი საკმაოდ რეალისტურადაა შედგენილი და ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტურის სტუდენტებისთვის გამოყოფილი თანხები, რათა უზრუნველყოფილი იქნენ კვლევის ჩასატარებლად აუცილებელი პირობებით და, ასევე, გამოყოფილია თანხები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პროგრამის სრულყოფისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში მითითებული სწავლების საფასური მხოლოდ უცხოელ სტუდენტებზე ვრცელდება. ქართველი სტუდენტებისთვის იქნება გამოყოფილი სპეციალური სტიპენდია და მაღალი აკადემიური მოსწრების აპლიკანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან პროგრამაზე შესარჩევ პროცედურას სრულად განთავისუფლდებიან სწავლების გადასახადისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის ბიუჯეტი
ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის ამალგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, კერძოდ, ის შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების გზით.</p> <p>უნივერსიტეტს გააჩნია ხარისხის კულტურის კომიტეტი (QCC), რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭო. ეს არის მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემაზე. სხვა საკითხებთან ერთად, იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხსაც. ვინაიდან ეს ახალი პროგრამაა, კვლევის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, უნივერსიტეტის გეგმებით ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს, გამოყენებული იქნება ამ პროგრამისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის კითხვარი პერსონალისთვის კითხვარი სტუდენტებისთვის.</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი რამდენადაც, წინამდებარე სადოქტორო პროგრამა ახალი პროგრამაა, მას ჯერ არ გაუვლია გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა. პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას. ჩვენთვის უცნობია დაწესებულების სხვა პროგრამებზე არსებული გარე ხარისხის შეფასების შედეგები, შესაბამისად ამ კომპონენტზე პასუხი რთულია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები მოხსენება ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სამსახურის სპეციალისტებთან.</p>
<p>რეკომენდაციები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. მოცემულ ეტაპზე ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჩვენი შეხვედრებითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ დაწესებულება მიზნად ისახავს პროგრამის მუდმივად გადახედვასა და მონიტორინგს, რომელიც განხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების და აკადემიური პერსონალის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად (განხილულია კომპონენტში 1.2.) და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე (სტუდენტების პროგრესია, დამთავრების მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება, კურსის შეფასება და ა.შ.).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გამოკითხვის შედეგები</p>

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 28

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

გიორგი ჯაფარიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა

მაგდა ალანია



ლევან ციციშვილი



ანი ბილანიშვილი

